ანტიოქიის პატრიარქი იოანე X: უკრაინაში მიღებული კანონი გულისხმობს ამ ქვეყანაში უძველესი ლეგიტიმური მართლმადიდებელი ეკლესიის გაუქმებას

სსკგ-ის კომუნიკაციო სამსახური, 26.08.2024. 2024 წლის 24 აგვისტოს, დიდი ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის უნეტარესმა პატრიარქმა იოანე X-მ წერილი გაუგზავნა კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ონოფრეს, სადაც გამოხატა მისდამი თავისი ურყევი მხარდაჭერა უკრაინაში დისკრიმინაციული კანონის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც ქვეყანაში კანონიკური ეკლესიის ლიკვიდაციაზეა მიმართული.

„ახლახან მივიღეთ ინფორმაცია, რომ უკრაინის უმაღლესმა რადამ მიიღო კანონპროექტი No 8371 უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის აკრძალვის, მისი არსებობის შეწყვეტისა და მთელი ქონების ჩამორთმევის შესახებ. ეს აკრძალვა წარმოადგენს მილიონობით მორწმუნის კოლექტიურ დასჯას,

რომელთა ერთადერთი „ცოდვა“ არის ის, რომ ისინი ერთგულნი რჩებიან მოციქულებრივი მემკვიდრეობით წმინდანთაგან მიღებული მართლმადიდებლური სარწმუნოებისა“, – ნათქვამია წერილში, რომელსაც გამომცემლობა OrthodoxTimes **ციტირებს.**

პატრიარქმა იოანემ დარწმუნებით განაცხადა, რომ „ანტიოქიის საპატრიარქო დგას უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის მხარეს, რომლის ერთგული მრევლი არის ქრისტეს აღმსარებელი და მოწმე“, და „კვლავ ადასტურებს, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია ერთადერთი ეკლესიაა უკრაინაში, რომელიც ევქარისტიულ კავშირშია ყველა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიასთან, სარგებლობს სამოციქულო მემკვიდრეობით და ჰყავს ჭეშმარიტი სამღვდელოება“.

„ამგვარად, ამ ეკლესიის აკრძალვისა და გაუქმების მცდელობა ნიშნავს ამ ქვეყანაში უძველესი ლეგიტიმური მართლმადიდებელი ეკლესიის გაუქმებას“, – განაცხადა ანტიოქიის პატრიარქმა.

მან მოუწოდა ყველა მორწმუნეს, აღავლინონ ლოცვები, რათა უფალმა ღმერთმა რწმენაში განამტკიცოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის თითოეული იერარქი, სამღვდელოება, სამონოზვნო დასი და მრევლი, და დასძინა: „ღმერთმა მოგცეთ ძალა და მოთმინება თავსმოწეული უბედურების ასატანად, რათა შეინარჩუნოთ რწმენის სიწმინდე, მოიწმინდოთ თვალზე ცრემლი და აპატიოთ თქვენს მდევნელებს“.

„ანტიოქიის საპატრიარქო უერთდება ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს თქვენი ეკლესიის დასაცავად და მოუწოდებს, მოწვეულ იქნას საყოველთაო კრება უკრაინის ეკლესიის საკითხის კომპლექსური გადაწყვეტის მოსაძებნად, – განაცხადა უნეტარესმა პატრიარქმა იოანე X-მ. – ჩვენ კიდევ ერთხელ გარწმუნებთ, რომ ძალისხმევას არ დავიშურებთ იმისათვის, რომ ხმა ავიმაღლოთ თქვენს დასაცავად და მივმართოთ ყველა კეთილ ადამიანს მსოფლიოში, განსაკუთრებით ყველა ქრისტიან ლიდერს, მთავრობას, საერთაშორისო ორგანიზაციას და ადამიანის უფლებებისა და რელიგიური თავისუფლებების დამცველებს თხოვნით, რომ ხელი შეუწყონ რელიგიური დისკრიმინაციისა და ძალადობის დასრულებას თქვენი ეკლესიის წინააღმდეგ, რაც საშიში პრეცედენტია ოცდამეერთე საუკუნეში, რომლის მოთმენა და დამკვიდრება შეუძლებელია“.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92149/